# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება № 01-05-04/440

ქ. თბილისი

27 დეკემბერი 2019

**სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტ ლუკა ჟვანიას განცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის“, სტუდენტის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 27 დეკემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაკმაყოფილდეს სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სწავლების მესამე წლის №151701 ჯგუფის სტუდენტ ლუკა ჟვანიას თხოვნა და გათავისუფლდეს სემესტრის სწავლების საფასურის გადახდისაგან 1125 ლარის ოდენობით, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**